



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

6 ოქტომბერი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 165

**შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი
განკარგვის წესით გადაცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქ. ოზურგეთის სერვიზცენტრს, ქ. ოზურგეთის ექადიის უბანში წყალმომარაგების სამუშაოების შესასრულებლად გადაეცეს, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით მუდმივ სარგებლობაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მატერიალური მარაგები თანდართული დანართის შესაბამისად, ღირებულებით 16.000 (თექვსმეტიათასი) ათ.ლარი.

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი